შპს „სტარტი“

(ს/კ 406218524)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

<u>2024 წლის 31 დეკემბრით</u> დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შპს „სტარტი" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა				
ფინანსური მდგომარეობა		**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	1392480	1276527	1134300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	395165	490013	389305
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	1403	0	0
მარაგები		634608	846430	990892
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		634608	846430	990892
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		31098	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4	2807	1770	1492
ძირითადი საშუალებები	5	11431	21089	83538
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		2468992	2635829	2599527
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	6	624598	864729	986555
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი		4628	1489	126
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		3653	4941	2684
სულ ვალდებულებები		632879	871159	989365
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	8826	8826

საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1836113	1755844	1601336
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		1836113	1764670	1610162
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2468992	2635829	2599527
სულ მოკლევადიანი აქტივები		2454753	2612970	2514498
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		632879	871159	989366
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები		0	0	0

შპს „სტარტი“-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები		**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	7	3461408	3532173
საქონლის გაყიდვიდან		3461408	3532173
მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	8	-2751205	-2715323
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		710203	816850
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	-242965	-190082
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-9977	-18026
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		0	0
იჯარის ხარჯი	10	-78305	-68136
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-120528	-153123
სულ საოპერაციო ხარჯები		-451775	-429367
საოპერაციო მოგება		258428	387483

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		1407	24233
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		259835	411716
მოგების გადასახადის ხარჯი		-26935	-37318
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		232900	374398
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		232900	374398
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1764670	1610162
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-152632	-219890
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-8825	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1836113	1764670
კვლევისა და განვითარების ხარჯები		0	0

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სტარტი (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 406218524 დაარსდა 2017 წლის 01 აგვისტოს, კომპანიის 100 % წილის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორი ნურან აქფინარ, (თურქეთის მოალაქე-27542462530, U12557273) და დირექტორი ოსმან აქფინარ (თურქეთის მოქალაქე -27638459352, U 06810436, კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ.13. კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს საოჯახო ქიმიით ვაჭრობა, იმპორტი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუატაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯნება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი" წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი".

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ

არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით:

ძირითადი საშუალებები (გარდა შენობა-ნაგებობისა) 20%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 5%

არამატერიალური აქტივები 15%

შენობა- ნაგებობა- 50 წელი

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის

ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელიც წარმოშობილია საქონლის რეალიზაციიდან, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1.ფული და ფულის ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	1392480	1276527	1134300

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში.

2. სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	395165	490013	389305

კომპანიას აქვს დებიტორული დავალიანებები კომპანიებთან ,რომლებიც ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ.

3. მარაგები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მარაგები	3	634608	846430	990892

კომპანია ვაჭრობს საოჯახო ქიმიით, საქონლის შესყიდვას ახორციელებს იმპორტით.

4. არამატერიალური აქტივები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სხვა არამატერიალური აქტივები	4	2807	1770	1492

არამატერიალური აქტივი არის კომპანიის ბალანსზე არსებული საბუღალტრო პროგრამები.

5.ძირითადი საშუალებები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ძირითადი საშუალებები	5	11431	21089	83538

6. სავაჭრო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	6	624598	864729	986555

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებებს წარმოადგენს რეზიდენტ და არარეზიდენტ მომწოდებლებთან წარმოქმნილი ვალდებულებები.

7. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	7	3461408	3532173

კომპანიის ნეტო ამონაგები მოიცავს საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებულ შემოსავლებს.

8. გაყიდვების თვითღირებულება

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
გაყიდვების თვითღირებულება	8	-2751205	-2715323

გაყიდვების თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას.

9. დასაქმებულთა ანაზღაურება

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	-242965	-190082

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 11 თანამშრომელს.

10. იჯარის ხარჯი

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
იჯარის ხარჯი	10	-78305	-68136

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-120528	-153123

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები აერთიანებს სხვადასხვა ხარჯებს, მათ შორისაა: საკონსულტაციო მომსახურება, კომუნიკაციის ხარჯი, კომუნალური ხარჯი, დაზღვევა, და ა.შ.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით 100 ლარამდე ღირებულების ნივთი აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2024 წლის 1 ოქტომბერს.

დირექტორი: _____ ოსმან აქფინარ (პ/ნ 27638459352,U 06810436)